


იმპორტის დოკუმენტით პროგრამაში აისახება იმპორტით შესყიდული საქონლის განბაჟების ოპერაცია. იმპორტის დოკუმენტის გამოყენებისათვის აუცილებელია „საქონლის იმპორტის“ ფუნქციონალური ოფციის ჩართვა (ადმინისტრირება > შესყიდვები > საქონლის იმპორტი)

## იმპორტის შექმნა

- ძირითად მენიუში აირჩიეთ შესყიდვების ქვესისტემა
- ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „იმპორტი“



- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- ინფორმაციისთვის მიუთითეთ საბაჟო დეკლარაციის A და C ნომრები
- „დამატება“ ღილაკზე დაჭერით აირჩიეთ შემოსვლის დოკუმენტები, რომლებიც გაფორმებულია [შესყიდვა იმპორტით](#) ოპერაციის ტიპით. შემოსვლის დოკუმენტის არჩევისას, საქონლის ცხრილი შეივსება შესყიდვის დოკუმენტის მონაცემებით
- საქონლის ცხრილში შეავსეთ დღგ-ის და იმპორტის გადასახადის განაკვეთები. აღნიშნული ველები ავტომატურად ივსება ნომენკლატურის ბარათზე მითითებული მნიშვნელობებით ([როგორ დავამატო ნომენკლატურა](#))
- გადასახადების ცხრილი ავტომატურად ფორმირდება საქონლის ცხრილში მითითებული იმპორტის გადასახადის განაკვეთების მიხედვით.
- შეავსეთ [გადასახადების ჩანართი](#)
- „განაწილება“ ღილაკზე დაჭერით დარიცხული დღგ და იმპორტის გადასახადები გადანაწილდება ნომენკლატურებზე მათი განაკვეთებისა და განაწილების ბაზის მიხედვით. გაანგარიშებული მნიშვნელობების რედაქტირება შესაძლებელია ხელით.

შენიშვნა: განაწილების ბაზა ივსება ავტომატურად შესყიდვის არჩევისას საქონლის შესყიდვის ღირებულების მიხედვით.



## შესყიდვიდან გადავსება

შემოსვლის დოკუმენტში მონაცემების ცვლილების შემთხვევაში შესაძლებელია მონაცემების განახლება იმპორტის დოკუმენტშიც.

- დააჭირეთ ღილაკს „შესყიდვიდან გადავსება“
- საქონლის ცხრილში ველი „იმპორტის განაკვეთი“ ავტომატურად გადაივსება ნომენკლატურის ბარათზე მითითებული მნიშვნელობებით. იმ შემთხვევაში თუ მითითებულია არაა ნომენკლატურაზე , აღნიშნული ველი იქნება ხელახლა შესავსები
- საჭიროების შემთხვევაში დააკორექტირეთ გადასახადების ჩანართი
- დააჭირეთ „განაწილება“ ღილაკს.

## საქონლის შესყიდვა იმპორტით

- ძირითად მენიუმში აირჩიეთ შესყიდვების ქვესისტემა
- შესყიდვის ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „შესყიდვები“
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს ([როგორ გავაფორმო შესყიდვა](#))
- სასურველი ოპერაციის ტიპის მიხედვით აირჩიეთ „[შესყიდვა იმპორტით](#)“.
- აირჩიეთ მომწოდებელი
- გადასახადების ლინკზე გაჩნდება წარწერა „იმპორტი“, რაც იმას ნიშნავს, რომ შესყიდვის მომენტში საქონელი დღგ-ით არ იბეგრება. დღგ-ით დაბეგვრა მოხდება საბაჟოზე იმპორტის დოკუმენტის გაფორმების შემდეგ.

**შენიშვნა:** გადასახადების ველები ავტომატურად ივსება მომწოდებლის ბარათზე ხელშეკრულების პირობებში მითითებული მნიშვნელობების მიხედვით ([როგორ ავანჩო მომწოდებლის ბარათი](#)).

- შეავსეთ ცხრილში შესყიდული საქონლის შესახებ ინფორმაცია „ნომენკლატურა“ ჩანართზე.
- საქონლის ღირებულებაში (ველი „თანხა“) მიუთითეთ აღნიშნულ საქონელზე მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხა
- თუ შესყიდვა მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარულია ავანსით, ავანსად განხორციელებული გადახდები გააფორმეთ ჩანართზე „ავანსები“.
- დააჭირეთ „გატარება“ ან „გატარება და დახურვა“ ღილაკს.

N	არტიკული	ნომენკლატურა	ერთეული	სერია	რაოდენობა	ფასი ფასდაკლებაშე	ფასი	წინა ფასი	ფასდაკლების თანხა	თანხა	აღრიცხვის ანგარი
1		პროცესორი - Sony VP...	ცალი	<არ მოითხოვება>	7.0000	1 215 0000	1 215 0000			8 505.00	1610
2		PC - HP P1000 400 G1...	ცალი	<არ მოითხოვება>	12 0000	890 0000	890 0000			10 680.00	1610
3		კომპიუტერი - Intel Core...	ცალი	<არ მოითხოვება>	1.0000	1 692 9500	1 692 9500			1 692.95	1640

## შესყიდვის თანხის ასახვა ლარში

ვალუტაში განხორციელებული შესყიდვის ლარებში ასახვის კურსი განისაზღვრება არა მარტო შესყიდვის დოკუმენტის კურსით, არამედ დაფარული ავანსის კურსითაც. შესყიდვის ღირებულების ლარებში შეფასებისათვის

- დააჭირეთ ღილაკს „ბეჭდვა“
- აირჩიეთ „დავალიანების გაანგარიშება ლარში“

N	არტიკული	ნომენკლატურა	ერთ.	სერია	რაოდენობა	ფასი ფასდაკლებაზე	ფასი	წინა ფასი	ფასდაკლების თანხა	თანხა	აღრიცხვის ანგარი
1		3პოუკტორი - Sony VP_	ცალი		7.0000	1 215 0000	1 215 0000			8 505 00	1610
2		PC - HP ProOne 400 G1	ცალი		12.0000	890 0000	890 0000			10 660 00	1610
3		კომპიუტერი - Intel Cor_	ცალი		1.0000	1 692 9500	1 692 9500			1 692 95	1640

გამოჩნდება საბეჭდი ფორმა „ვალუტაში ასახული დავალიანების თანხა ლარში“:

**გაანგარიშება** 01.11.2017

**ვალუტაში ასახული დავალიანების თანხა ლარში**

მომწოდებელი ETBD GROUP LTD  
 დოკუმენტი: შესყიდვა 131 - 01.11.17  
 ვალუტა: USD

მაჩვენებელი	სტრ.	თანხა
დოკუმენტის თანხა ვალუტაში	(1)	20 877.95
ჩათვლილია ავანსები, ვალუტა	(2)	20 000.00
ჩათვლილია ავანსები, ლარი	(3)	50 412.00
ვალუტის საშუალო კურსი ჩათვლილი ავანსების მიხედვით - საცნობარო	(4)	2.5206
გადასანდელია დოკუმენტის მიხედვით, ვალუტა (სტრ.1 - სტრ.2)	(5)	877.95
ვალუტის კურსი დოკუმენტის თარიღისათვის	(6)	2.6112
გადასანდელია დოკუმენტის მიხედვით, ლარი. (სტრ.5 * სტრ.6)	(7)	2 292.50
დოკუმენტის თანხა, ლარი. (სტრ.3 + სტრ.7)	(8)	52 704.50
ვალუტის გაანგარიშებული კურსი - საცნობარო (სტრ.8 / სტრ.1)	(9)	2.5244

**ჩათვლილი ავანსები**

N	ავანსის თარიღი	კურსი	ვალ. თანხა	თანხა
1	25.10.17	2.5206	20 000.00	50 412.00
სულ:			20 000.00	50 412.00

პასუხისმგებელი: \_\_\_\_\_  
ხელმოწერა
გვარი, სახელი

**საქონლის თვითღირებულების ფორმირება და განბაჟება**

იმპორტირებული საქონლის თვითღირებულების საბოლოო ფორმირებისთვის უნდა გაფორმდეს დოკუმენტები „დამატებითი ხარჯების განაწილება“ - შესყიდვასთან დაკავშირებული ტრანსპორტირების, სსიპ გაფორმების ეკონომიკური ზონის (გეზის) მომსახურების და სხვა დამატებითი ხარჯის თანხის გასანაწილებლად საქონლის ღირებულებაზე და „იმპორტი“ - საბაჟოზე გაფორმებული იმპორტის ოპერაციის ასახვისთვის.